



ბრძანება N 155

„27“ _____ 06 2016 წელი

„მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქალაქდებში დოკუმენტების განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის N05-207 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 63-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქალაქდებში დოკუმენტების განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის N05-207 ბრძანების პირველ პუნქტში და მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში, მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქალაქდებში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების განთავსების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 3 მაისიდან 4 ივლისის ჩათვლით პერიოდი.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა/საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეადგენს ცენტრის დირექტორის 2015 წლის 31 დეკემბრის N05-207 ბრძანების ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
4. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
5. ბრძანება ძალაში შედის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131).


გიორგი მაჩაბელი

დირექტორი



მანანა რატიანი

დირექტორის მოადგილე




დავით ბურჭულაძე




ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ეკატერინე შარაშენიძე



უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი

პაპუნა მაჩაიძე



იურისტი